სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 24 ოქტომბერი 2005 №244 (2567) ფასი 50 თეთრი

ვიქტორ სანეევის მეოთხე ოქრო



— პირველი ოლიმპიური ოქროს მოპოვება ძალიან გამიხარდა. უფრო გამიხარდა, როცა მეორედ და მესამედ გავხდი ოლიმპიური ჩემპიონი, მაგრამ დღევანდელმა გულთბილმა დახვედრამ ის სიხარული გადაფარა — თქვა გუშინ თბილისის აეროპორტში საქართველოს მე-20 საუკუნის საუკეთესო სპორტსმენმა კაცმა ვიქტორ სანეევმა, რომელიც ცამეტწლიანი განშორების შემდეგ გვესტუმრა სიდნეიდან.

გუშინვე გაცხადდა, რომ ვიქტორ სანეევი თბილისის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს, მერე კი სახელოვანი სპორტსმენი საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მიიღო და მას ქვეყნის მოქალაქეობა აღუდგინა.

ვიქტორ სანეევის თბილისში ჩამოსვლისადმი მიძღვნილი ფოტორეპორტაჟი კი იხილეთ მეცამეტე გვერდზე.

ათიანელი

უფერო ფეროს ფრემ ვიტ ჯორჯია დააფრთიანა

ამერი — ბორჯომი 1:0. სტუმართა მეკარე ზურაბ მამალაძემ სულიკო დავითაშვილის დარტყმულ ბურთს თვალიღა გააყოლა

ბოლოდროინდელი ტრადიციის მიხედვით, საქართველოს ჩემპიონატში ლიდერი კვლავ შეიცვალა. ცხრილის კენწეროში წამოჯდა გუნდი, რომელიც ამ ეტაპზე მართლაც სხვებზე უკეთეს ფეხბურთს თამაშობს: „ვიტ ჯორჯიამ" უოფლოდ მოუგო „სპარტაკს" და, რა თქმა უნდა, კვლავ იშტაზე იყო ოთარ მარცვალაძე. მეათე ტური იყო და, როგორც ტური დამრგვალდა, ისე ოთარმაც დაამრგვალა გოლები — 10 მოუგროვდა.

ვიტელებს გვერდს უმშვენებს ბოლნისის „სიონი", რომელმაც „ცხინვალს" ექვსი გოლი „უძღვნა", თანდათან ჩემპიონი „დინამოც" იწევს ლიდერთა ჯგუფისკენ — კახა ცხადაძის ბიჭებმა ერთ დროს უპირველეს მეტოქე „ტორპედოს" ქუთაისში აჯობეს. ისევ აკრიფა ტემპი „ამერმა", რომელსაც სოსო ფრუიძის „ბორჯომი" შემოემარცხა და „დინამოსთან" ერთად უტევს ლიდერთა ოთხეულს.

და ჩამოჩოჩებული ლიდერიც: „ლოკომოტივმა" შინ ფერმიხდილ ფეროელებს ვერ მოუგო — „ზესტაფონის" ბოლოდროინდელ ნაგებებს თუ გავიხსენებთ, „მიხეილ მესხზე" აღებული ქულა ციდან ჩამოვარდნილად უნდა ჩავუთვალოთ, თან თამაშიც ისეთი იყო, იმერლები ნაგებასთან ნკიპზე იყვნენ...

გიო ახვლედიანის

სვეტი

სიზმრის ახსნა

გუშინწინ დამესიზმრა, თითქოს მუჰამედ ალ-ფაიედი მთავაზობდა, „ფულემს“ მოგყიდიო. ჩიოდა, დავიღალეო და აჰა, ეს გუნდიო, მიხედე, მოუარე და ფული მერე მომეცი, როცა მოგებას ნახავო.

მე გულით სულ სხვა გუნდის ყიდვა მინდოდა, იქვე, ლონდონშივე („ჩელსიზე“ არ იფიქროთ), მაგრამ ის, უკვე გაყიდულიაო და თან შორსააო, რად გინდა, აგერ, შუა ქალაქში კოხტა „ფულემი“ იყოსო, სტადიონიც განვაახლეო, „კრეივენ კოტეჯით“ და ასე შემდეგ.

სიზმრის ამბავი ხომ იცით და, ვილაცამ იქვე მირჩია, მუჰამედ ალ-ფაიედი ცუდი კაციაო, მოგატყუებსო, მერე სასამართლოში მიგათრევსო, ფრთხილად იყავიო. ჰოდა, გამომეღვიძა კიდეც.

გამომეღვიძა და რა დავინახე?

ღამე სულაც არ ყოფილა, ტელევიზორის წინ ჩამძინებოდა.

ხოლო ტელევიზორში სულაც არ თამაშობდა „ფულემი“. (არც ისეთი სულელი ვარ, რომ გაცვეთილი ხერხი გამოვიყენო: ტელევიზორთან იმიტომ ჩამომეძინა, რომ ქართული გუნდები თამაშობდნენ-თქო. არ თამაშობდნენ ქართული გუნდები და არც სხვა ქვეყნისა, იმიტომ, რომ ტელევიზორში ფეხბურთი ძალიან ცოტა შეიქნა. მხოლოდ „მზეზე“).

ამგვარი სიზმარი კი იმიტომ თუ დამესიზმრა, რომ ადრე წავიკითხე, შესაძლოა, ბადრი პატარკაციშვილმა „ვესტ ჰემი“ იყიდოსო, ახლა კიდევ წავიკითხე, მერაბ ჟორდანიამ შესაძლოა გრაცის „შტურმი“ იყიდოსო.

სიმართლე რომ გითხრათ, არც მახსოვს, წავიკითხე თუ ვიღაცა მომიყვა.

ამას, მგონი, არც აქვს მნიშვნელობა. უბრალოდ, მასშტაბი გაიზარდა. დიახ, ამგვარი მასშტაბური სიზმარი არასდროს დამსიზმრებია. ანუ ჩვენი ქვეყანა წინ გაიჭრა მასშტაბურობით. ეს ჩემი სიზმარი იმას ჰგავს, ერთ ძმაბიჭს რომ გადახდა თავს: სულ პირველად, აი, ცხოვრებაში პირველად ლონდონში ჩაფრინდა და პირველივე გადასასვლელზე მანქანა დაეჯახა (იქაურ მარცხენა-მარჯვენას არ იყო მიჩვეული), მძღოლად კი შონ კონერი იყო.

დიახ, სწორედ ამას ჰგავს.

რეალური კი არაფერი. მასშტაბიც ქიმერული. ჯიბეში კი კონტრაბანდული სიგარეტი.

არა, თან როგორ მეუბნებოდნენ, ალ-ფაიედს არ ენდოო.

საქართველოს ფროფესიული ფეხბურთის ლიგა

საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა — პირველი წრე — 10 ტური

ერთი გოლის თამაში

ჩიხრაძე და ფრუიძე 1:0-ზე შეთანხმდნენ

ბადრი ჯბილაძის ფოტო

სულიკო დავითაშვილმა (№14) ბორჯომელებს ბოლოსკენ გაუტანა

თბილისი. 22 ოქტომბერი. 15 საათი. ამერი. 700 (ტევადობა 900)

ამერი 1:0 ბორჯომი

1:0 დავითაშვილი (82)

ამერი: ლ. ნადირაშვილი, დავითაძე, ხვადაგიანი, გ. კვასაძე, ბერიანაძე, დობროვოლსკი (კუდელაშვილი 69), დარსანია (გ. ჩხეტიანი 60), კოშკაძე, ა. კაიდარაშვილი, სეფასტოელი (ტატანაშვილი 78), ს. დავითაშვილი

სათადარიგო: ნაჭყებია, გარუჩავა, ბეგლავა, ჯიშკარიანი

მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

ბორჯომი: შამლაძე, ს. ბურნაძე, ბაქრაძე, ბაქაშვილი, მესხი, ქორაძე, გ. გოგაშვილი (მ. ჯიქია 65), კაბასკირია (რ. ჯიქია 85), მეფარიშვილი, აფციური, ბეგრაგიშვილი

სათადარიგო: ბამარდაშვილი, მაჭავარიანი, ნასყიდაშვილი, ტოგიანიშვილი

მწვრთნელი: ნოსო ფრუიძე

გაფრთხილება: კვასაძე (19), ჩხეტიანი (62), დობროვოლსკი (67), კიდარაშვილი (90)

მსაჯები: ა. მეშკოვი (თბილისი), ლ. მიქელაძე (სამტრედია), მ. ელერაშვილი, ლ. დარიაშვილი (ორივე თბილისი)

ინსპექტორი: ს. ენტიაძე

კობა ინასარიძე

ერთი გოლის თამაში იყო და, ჩვენდა სამწუხაროდ, „ამერს“ გაუმართლა, თუმცა გამართლებით ძლიერებს უმართლებთო — მთელი მატჩი ერთ წინადადებაში ჩაატია „ბორჯომის“ თავკაცმა სოსო ფრუიძემ, ვის გუნდსაც იმავე ალბათობით შეიძლებოდა გამართლებოდა, როგორც „ამერს“ თამაშის ბოლოსკენ.

... ალეკო კაიდარაშვილმა „ბორჯომის“ ჩაშლილი შეტევის შემდეგ ბურთი მოედნის ცენტრში მიიღო, ფლანგისკენ თავისუფალი ზონა ნახა და იქითკენ დაიძრა, გზად ბესიკ მიქიაშვილი ჩამოიშორა, მის დამზღვევებსაც დაასწრო და ბურთი საჯარიმოში შეჭრილ სულიკო დავითაშვილს გაუგორა. დანარჩენი უკვე ტექნიკის საქმე იყო, რაც „ამერის“ ფორვარდს არ დაეწუნება — დავითაშვილმა მეურვე ჩამოიშორა და ზურაბ მამალაძეს ახლო კუთხეში დაურტყა — 1:0. ეს ამბავი 82-ე წუთზე მოხდა და, რაც იქამდე ვერ ვნახეთ, მეტოქეებმა დარჩენილ დროში გააკეთეს — ყოველ წუთს ორივე კართან სახიფათო მომენტები იქმნებოდა.

სულ ბოლოს კი „ამერი“ გადარჩა: შეცვლაზე შესულმა რევაზ ჯიქიამ ლადო ნადირაშვილს ორიოდ მეტრიდან დაურტყა, მაგრამ მიზანს ნამეტანი ააცილა.

თუმც „ამერს“ აქამდე საქმე არც უნდა მიეყვანა. ზედმეტი ნერვიულობისგან თავის დაზღვევა ჯერ დავითაშვილს შეეძლო, მერე გივი ჩხეტიანს — მამალაძის ცხვირწინ ორივე ეულად იყო დარჩენილი და კაცი საგოლეე უკეთეს პოზიციას ვერც ინატრებდა, მაგრამ...

მატჩი კი ორივე გუნდმა აგრესიულად, ხისტად დაიწყო. არბიტრი ალექსანდრე მეშკოვიც ჩვეულებრივზე ხშირად აჩერებდა თამაშს. საწყისი უპირატესობა „ბორჯომისა“ იყო — ბურთს მეტწილად ძველებურ ენაზე ინსაიდის პოზიციაზე მოთამაშენი, იური გაბისკირია და თორნიკე აფციური აკონტროლებდნენ, სტუმართა ყველა შეტევის წამოწყებას სწორედ ისინი ცდილობდნენ, თუმც ამერელი მცველები საიმედოდ თამაშობდნენ და კართან ახლოს ბურთიან მეტოქეს არ იკარებდნენ.

ტაიმის შუისკენ უკვე „ამერმა“ მოუმატა და მამალაძესაც საქმე გაუჩნდა. ეგ იყო, მასპინძელთა დამრტყმელებს სიზუსტე ღალატობდათ. თუმცა სწორედ ამ დროს მოხდა, ლადო ნადირაშვილმა „ამერი“ რომ გადაარჩინა: გაბისკირიამ საჯარიმოს ხაზთან აფციაურს კედელი გაუთამაშა და რეალური საგოლე მომენტიც შეექმნა — ბორჯომელმა ვეტერანმა მეკარეს ახლოდან დაურტყა, მაგრამ ნადირაშვილის რეაქცია დროული გამოდგა.

მეორე ტაიმში „ამერმა“ თამაში შესამჩნევად გამოაკეთა და მოედნის შუაში აქტიურობით ისეთივე უპირატესობა მიიღო, როგორიც იქამდე „ბორჯომს“ ჰქონდა. მასპინძლები თანდათან ავიწროვებდნენ მეტოქეს და თამაშიც „ამერის“ კარნახით გაგრძელდა.

ისიც სათქმელია, რომ ამერელთა თითქმის ყველა კუთხური მეტოქისთვის სახიფათო იყო, მაგრამ საბოლოო დარტყმას ხან სიზუსტე აკლდა, ხანაც ძალა.

თამაში მთავრდებოდა, ქომაგი ნულოვან ფრეს ვარაუდობდა, ბურთი კაიდარაშვილმა მიიღო და... ასე დარჩა „ბორჯომი“ უქულოდ.

გიორგი ჩიხრაძე: ჩემი კოლეგის ნათქვამს, ერთი გოლის თამაში იყოო, ვეთანხმები. საბედნიეროდ, ეს ჩვენ მოვახერხეთ და დამსახურებული სამი ქულაც მოვიპოვეთ. ბიჭებმა ბოლომდე იბრძოლეს, მეტოქეს არაფერი დაუთმეს. ვფიქრობ, ეარგა, საინტერესო და დაძაბული თამაში იყო.

ბადრი ჯბილაძის ფოტო

სტუმართა კაპიტან იური გაბისკირიას ლადო ნადირაშვილმა გატანა არ დაანება

საქართველოს პირველი ლიგა — 17 ჩემპიონატი — პირველი წრე — 11 ტური

მაღაროელი 2:6 მეშაქრე

საგარეჯო 4:0 ლიახვი

დინამო 2	11	7	2	2	21:6	23
მეშაქრე	11	7	2	2	20:9	23
ჩიხურა	10	7	1	2	32:13	22
ამერი 2	11	7	1	3	18:9	22
მერანი	11	6	3	2	14:7	21
გურია	11	6	2	3	23:14	20
რუსთავი	11	6	2	3	19:14	20
გაგრა	10	4	4	2	13:9	16
მეშახტე	11	4	3	4	12:9	15
მესხეთი	10	4	3	3	12:13	15
ზუგდიდი	11	4	3	4	5:8	15
საგარეჯო	11	4	2	5	11:11	14
ლოკომოტივი 2	11	4	1	6	10:17	13
ვიტ ჯორჯია 2	10	3	2	5	8:10	11
თბილისი 2	10	2	2	6	10:19	8
ლიახვი	11	2	0	9	10:29	6
მაღაროელი	11	1	1	9	9:35	4
ზესტაფონი 2	8	0	0	8	7:22	0

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა — პირველი წრე — 10 ტური

„ტორპედო“ — „დინამოს“ ჯახმა მოლოდინისამებრ დიდი ინტერესი გამოიწვია

გასული ტურნირიდან ქუთაისელებიდან

მაინც კლასიკა...

დინამომ ქუთათურებს ქუთათურით მოუგო

ქუთაისი. 23 ოქტომბერი. 15 საათი. ტორპედო. 6 000 (ტევადობა 20 000)

ტორპედო 0:2 დინამო

0:1 ზეგრელაძე (17), 0:2 ჩირიკაშვილი (76)

ტორპედო: რევიშვილი, მაღლაკელიძე, რ. ბარამიძე, ებრალიძე, ხურცილავა, ზ. ჩხეტიანი, დოლონაძე, დ. ჯანსაია, ძოძუაშვილი (ზდიენიშვილი 56), მ. ლონდაძე (ა. ფიფსაძე 61), კ. შალამბერიძე (ბურჯანაძე 46)
სათადარიგონი: მიგინეიშვილი; ორმოცაძე, ტეხოკი, კ. სვანიძე
მწვრთნელი: რევაზ ბურკაძე

დინამო: გრიშაკაშვილი; გიგაური, ქუმსიაშვილი, ამისულაშვილი, ალადაშვილი, ლ. ნოზაძე, გ. ზერგიბაშვილი, ჯაკობია, ზეგრელაძე (ორბელაძე 90), ს. იაშვილი (ლ. მელქაძე 81), ბობოხიძე (ჩირიკაშვილი 76)
სათადარიგონი: სტეფნაძე; გ. თოლაშვილი, ფეფილაშვილი
მწვრთნელი: კახა ცხადაძე

გაფრთხილება: დოლონაძე (27), გიგაური (28), ლონდაძე (33)

მსაჯები: ზ. ანაიშვილი (გორი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ზ. ჯაბარიძე (თბილისი); გ. ასკაროფლი (ქარელი)

ინსპექტორი: დ. გოგიჩაიშვილი **დირექტორი:** გ. ჯაშარიანი

ზაზა ცინცაძე ქუთაისიდან

ვიცე-ჩემპიონისა და ჩემპიონის დაპირისპირებამ დიდი ინტერესი გამოიწვია ქუთაისელ გულშემატკივრებში, რომლებიც საკმაოდ მრავლად მოვიდნენ სტადიონზე. „დინამო“ „ტორპედოსთვის“ ყველაზე პრინციპული მეტოქეა და ამიტომაც იყო ქუთათურები განსაკუთრებულად რომ გულშემატკივრობდნენ თავიანთ გუნდს...

მატჩის პირველმა ტაიმმა „დინამოს“ მცირე სათამაშო უპირატესობით ჩაიარა. უკვე მე-7 წუთზე სტუმრებს დაწინაურებაც შეეძლოთ — მიხეილ ბობოხიძის შორიდან გასროლილი ოდნავ ასცდა „ტორპედოს“ კარს. ზუსტად სამ წუთში კი ლაშა ნოზაძის ნაკუთხურალს კინაღამ გოლი მოჰყვა — „დინამოს“ კაპიტნის ჩაწოდებულს ერთბაშად სამმა თბილისელმა ვერ დაუხვედრა ფეხი.

გოლი კი ქუთაისელის ფეხით გავიდა: მე-17 წუთზე გიორგი მეგრელაძემ თავის ყოფილ კლუბს გაუტანა. გიორგიმ საჯარიმოს ხაზთან ცრუმოძრაობებით ჩამოიშორა მცველები და ნუკრი რევიშვილს შანსი არ დაუტოვა — ბურთი ძელის „დახმარებით“ გაეხვა ბადეში — 0:1.

საინტერესოა, რომ მატჩის ბოლოს, როცა გია მეგრელაძე შეცვალეს, ქუთაისელმა გულშემატკივარმა თავისი ყოფილი ჯილა ტაშით გააცილა.

მეორე ნახევარში ტორპედოელებს დაღლა დაეტყოთ, რამაც ხელფეხი გაუხსნა „დინამოს“ ფორვარდებს — ჯერ მეგრელაძეს მართებდა ანგარიშ.ს გაზრდა, მაგრამ მისი ძლიერად დარტყმული მცირე მანძილით ასცდა მიზანს, მერე კი სანდრო იაშვილმაც ვერ გაისწორა მიზანი.

რამდენიმე წუთში ბობოხიძესაც მიეცა თავის გამოჩენის შანსი, მაგრამ მისი თავურიც არაზუსტი გამოდგა.

„ტორპედოს“ შეტევებიდან ყველაზე დასამახსოვრებელი ავთანდილ ფოფხაძის გარღვევა იყო, მაგრამ მის მიერ მახვილი კუთხიდან დარტყმულს ხეირი არ მოჰყოლია.

და ერთი საინტერესო ამბავიც: 76-ე წუთზე ბობოხიძის ნაცვლად მოედანზე ირაკლი ჩირიკაშვილი შევიდა და... ხეირიანად ფეხიც არ გაეჭნია, გოლი რომ გაიტანა — მის შორეულ დარტყმულს რევიშვილმა ვერაფერი მოუხერხა — 0:2.

ამ გოლმა მატჩის ბედი საბოლოოდ გადაწყვიტა.

პრესკონფერენცია

კახა ცხადაძე: „ტორპედოსა“ და „დინამოს“ დაპირისპირება ყოველთვის დიდ ინტერეს იწვევს გულშემატკივრებში. ფაქტია, რომ ახალგაზრდა ტორპედოელებს გაუჭირდათ ჩვენთან თამაში, რაც განსაკუთრებით მეორე ტაიმში იგრძნობოდა. შეიძლება ითქვას, ჩვენ თითქმის ყველა კომპონენტში დავჩაგრეთ მეტოქე.

რევაზ ბურკაძე: საშემსრულებლო ოსტატობა დინამოელებს უფრო მაღალი აქვთ. აქედან და კიდევ სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე, ლოგიკურიცაა რომ დავმარცხდით. იმასაც ვიტყვი, რომ შეცვლებმაც არ გაგვიმართლა.

ვიტ ჯორჯიამ ლოკომოტივს გასახდელში გაასწრო

გიორგი ვაშაკიძე

საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს გუშინდლიდან ახალი ლიდერი ჰყავს — ნესტორ მუმლაძის „ვიტ ჯორჯიამ“ „ლოკომოტივის“ წაფორხილებით ისარგებლა და ცხრილს კენწეროში მოექცა. ალბათ გული უგრძნობდა ვიტელთა პრეზიდენტ გურამ რუხაძეს, რომ რკინიგზელები ვერ მოიგებდნენ და 65-ე წუთიდან მოყოლებული წამდაუწუმ კითხულობდა, „ლოკომოტივი“ რას შვებაო. თავად ფეხბურთელებმა კი გასახდელში გაიგეს „ლოკომოტივ“ — „ზესტაფონის“ ანგარიში და სიხარულისგან ისეთი ყიჟინა დასცეს, თქვენი მოწონებული.

თავიდანვე გეტყვით: „ვიტ ჯორჯიამ“ გუშინ ძალიან იოლად, ფაქტობრივად ნახევარი ძალით მოუგო ერთ-ერთ აუტსაიდერს და რომ მოენდომებინა, სულაც გააცამტვერებდა.

არც ამჯერად დაუტოვებია მოედანი უგოლოდ ვიტელთა ბომბარდირ ოთარ მარცვალაძეს — დუბლი მიითვალა, თუმც თავისუფლად შეეძლო, ჰეთ თრიქი, ან სულაც პოკერიც გაეხერხებინა, მაგრამ...

ნუ გაიკვირვებთ და, პირველი სახიფათო მომენტი სპარტაკელებმა შექმნეს — კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს სოსო ურუშაძეს შეაგება თავური, მაგრამ გრიგოლ ბედიაშვილის კარს ოდნავ აცდა. მერე კი ვიტელები ამოქმედდნენ — თენგიზ კობიაშვილმა თავურითვე ძელს შეაწყვიტა ბურთი.

პირველი გოლიც მალე გავიდა — ორი-სამი წუთის მანძილზე „ვიტ ჯორჯიამ“ ზედიზედ ოთხი კუთხური ჩააწოდა და მეოთხე ჯერზე იხეირა: დავით იმედაშვილმა აკაკი დევაძეს თავურით შანსი არ ასცა ტოვა.

მეორე ბურთი ვიტელებმა ტაიმის მიწურულს შეაგდეს: ძარცვალაძემ მარცხენა ფლანგზე ჩაირბინა და პასიც დროულად მიაწოდა ზაზა სახოკიას, რომელმაც ოცდაორიოდე მეტრიდან ზუსტად ფაირტყა — 0:2.

მეორე ტაიმში კი ოთარ მარცვალაძემ მოიწყო ბენეფისი. აშკარაა, ოთარი მართლაც კარგ ფორმაშია, ორივე გოლიც ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე შეაგდო.

და ბოლოს: სპარტაკელ თეიმურ მჭედლიშვილს ის ერთადერთი პრესტიჟის გოლი რომ არ გაეტანა, „ვიტ ჯორჯია“ ზედიზედ მესამე 4:0-ს მიითვლიდა, წინა ორში ხომ სწორედ ასეთი ანგარიშებით დამარცხეს ნესტორ მუმლაძის შეგირდებმა „ბორჯომი“ და „ზესტაფონი“...

სპარტაკი 1:4 ვიტ ჯორჯია

0:1 იმედაშვილი (23), 0:2 სახოკია (45), 0:3 მარცვალაძე (64), 1:3 მჭედლიშვილი (81), 1:4 მარცვალაძე (89)

სპარტაკი: დევაძე (ალექსი ლაბაძე 46), თ. მჭედლიშვილი, ჯანგიძე, ელიზბარაშვილი, ა. იმნაიშვილი, კოტრიკაძე, ლ. ვამაკიძე (კობალაძე 68), ქოქიაშვილი, ხუბუა (მალიწავა 46), ღუდუშაძე, ურუშაძე
სათადარიგონი: ჩანტლაძე, თ. დემეტრაძე, ტაბიძე, დ. მაღლაფერიძე
მწვრთნელი: გიგლა იმნაძე

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, დ. ლომაია, გველესიანი, თ. კობიაშვილი, აბმილავა, იმედაშვილი (გ. ბერიაშვილი 77), ლ. რაზმაძე (გ. დათუნაიშვილი 46), დიღმელაშვილი, ფეიქრიშვილი, მარცვალაძე, ზ. სახოკია (ა. კვახაძე 84)
სათადარიგონი: მუჯრიშვილი; ნ. ჯაფარიძე, ქუხილავა, გ. მელქაძე
მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე

გაფრთხილება: ჯანგიძე (15), ხუბუა (19)

მსაჯები: გ. ვადაჭკორია (თბილისი); ნ. რუსიშვილი (ქუთაისი), ა. ნონიკაშვილი (თბილისი); ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი)

ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი

ბოლო საქართველოს ბოლო

საქართველო 1:1 ბულგარეთი
ბელგია 2:2 ავსტრია

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ვერ მოუგო გადამწყვეტ მატჩში ბულგარეთს და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მეორე ეტაპზე თამაშის უფლებაც ველარ მოიპოვა.

ლევან მელიქიას შეგირდებმა ბელგიაში მიმდინარე შესარჩევ თამაშებში თავი მთლად შეირცხვინესო, ვერ ვიტყვით, თუმცა სამოდ დღის წინ ავსტრიასთან წაგებამ (0:2) ევროპის ჩემპიონატისკენ მიმავალი გზა ჩახერგა.

ახლა გუშინდელ მატჩზე: ქართველებმა 22-ე წუთზე გაუშვეს გოლი და 79-ეზე გაათანაბრეს — ჯანელიძემ მჭედლიძის წაქცევისოვის დანიშნული პენალტით იხეირა. თუმც ჩვენებს გატანა მანამდეც შეეძლოთ: იმავ ჯანელიძეს, წულაძეს, მჭედლიძეს და დაუშვილს არ გაუმართლათ. ლევან მელიქიამ კი ნამატებულ განაცხადა, ეს ჩვენი საუკეთესო მატჩი იყო ამ ტურნირზეო.

აქვე შემადგენლობაც: *კასხეთაძე, ქვრივიშვილი, შარანგია, ხუციშვილი, გავაშელიშვილი, დაუშვილი, წულაძე, ჩარგეიშვილი, მჭედლიძე, ბენაშვილი, ჯანელიძე.*

ბაბა შალამბერიძე

ბელგია	3	1	2	0	5:3	5
ბულგარეთი	3	1	1	1	5:2	4
ავსტრია	3	1	1	1	4:6	4
საქართველო	3	0	2	1	3:5	2

ბენეფიციარი საინფორმაციო
საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა — პირველი წრე — 10 ტური

უფერო საფერო ფრე

ლოკომოტივს კენწეროში გაუმწარდა

ბურაბ დოლაბერიძის ფოტო

ლაშა ქებაძის „ლოკომოტივი“ და გიორგი თურმანიძის „ზესტაფონი“ უგოლოდ გაიყარნენ

თბილისი. 23 ოქტომბერი. 15 საათი. მიხეილ მესხი. 1 000 (ტევადობა 25 600)

ლოკომოტივი 0:0 ზესტაფონი

ლოკომოტივი: გ. ჭანტურია, საჯაია, გ. ონიანი, მახვილაძე, რ. ონიანი, სეთურიძე, ინომოვი, ქებაძე, სირაძე, სირბილაძე, კახელიშვილი (რამონი 67)
სათადარიგონი: ლომიძე, ჩიგვაძე, პანოვი, დ. ფოფხაძე, ფუტკარაძე, ყიფიანი
მწვრთნელი: ნოდარ აკობია

ზესტაფონი: ქებანია, ძაძაშვილი, ს. თოდუა, ბ. ლონღაძე, კ. ზეტიანი, განუგრავა, ბესარიშვილი, გოგი ფიფია (იმედაძე 63), ბ. ნოზაძე, ბ. გოცირიძე (ივანიშვილი 79), გ. თურმანიძე
სათადარიგონი: ბზიკაძე, ქეიშვილი, გიორგაძე, რ. კვირკაძე, ლაფერაშვილი
მწვრთნელი: კობა ყორღანაშვილი

გაფრთხილება: საჯაია (38), ნოზაძე (61)

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი (თბილისი), ლ. ბიქელაძე (სამტრედია), ზ. მენთეშაშვილი (თბილისი), ფ. სანია (სოხუმი)

ინსპექტორი: ს. კოტრიკაძე

ილია ნანობაშვილი

თამაშის დამთავრებამდე წუთი-წუთნახევარი რჩებოდა, როცა „ლოკომოტივის“ ნახევარმცველ ისლომ ინომოვის შორიდან გასროლილი ძელს მოხვდა. არ შედგა პირველი უზბეკური გოლი საქართველოს ჩემპიონატში და, არა და არ ინება ფორტუნამ რკინიზელთა მოგება. შედეგად, ნოდარ აკობიას გუნდმა მხოლოდ ერთი ტური გაძლო ცხრილს კენწეროში და გუშინ ისევ „ნაცნობ“ ადგილზე — მესამეზე ჩაქვეითდა.

სეზონის წინ ვინმეს რომ ეთქვა, „ლოკომოტივი“ — „ზესტაფონის“ თბილისური შეხვედრა ფრედ დასრულდებაო, ჩვეულებრივზე ჩვეულებრივ პროგნოზად ჩაუთვლიდნენ, მაგრამ ახლა? ფეროელები ხომ ბოლო დროს წაგებებს ძალიან დაეჩვივნენ... ალბათ ამიტომაც იყო, „მიხეილ მესხზე“ ზესტაფონელ ქომაგთა ჯგუფი რომ არ გვინახავს.

ახლა ბურთის გზას გავყვეთ და წინასწარ ვთქვათ, რომ კობა ყორღანაშვილის გუნდს „ლოკომოტივის“ კარის ჩარჩოში ერთხელაც არ დაურტყამს. მეორე ტაიმში ბექა გოცირიძემ ორჯერ თავით ვერ დაარტყა სახეირო ადგილიდან, ეს იყო და ეს — „ზესტაფონის“ სხვა მწვავე შეტევა არ გვინახავს.

ზურაბ ქვაჩახიას კარისკენ კი, იცოცხლეთ, მაგრად „ცხელოდა“: ლაშა ქებაძემ, დავით სირაძემ, როინ ონიანმა და ისლომ ინომოვმა ურტყეს და ურტყეს, მაგრამ ზოგჯერ ზესტაფონელთა მეკარე ყოჩაღობდა, ზოგჯერაც ბურთი სცდებოდა კარს. ერთხელ როინ ონიანი თითქმის პრისპირ შეეყარა ქვაჩახიას, მაგრამ დარტყმა იჩქარა და ააცილა. ტაიმის ბოლოს კი გიორგი კახელიშვილმა კარგად შეაყოლა ბურთი სირაძეს, ისიც საჯარიმოში შეიჭრა და ზუსტი დარტყმა იყო საჭირო, მაგრამ ისე ჩანდა, ზესტაფონელმა ზურაბ ძაძაშვილმა ხელი ჰკრა. მსაჯმა ლევან ფანიაშვილმა სასტვენი დაადუმა, თუმცა მომენტს პენალტის სუნი კი ასდიოდა.

მეორე ტაიმში ფეროელებს გაახსენდათ, რომ მათ გაღმა მეტოქის კარიც იყო და იქამდე მათთვის უნახავ „ლოკომოტივის“ საჯარიმოს შეეჩვივნენ, თუმცა არანაირი ხეირი...

მოედნის ცენტრში სირაძე-ინომოვ-ქებაძის სამეული ფეხშეწყობილად თამაშობდა, ბრაზილიელი რამონიც აქტიურად შემოვიდა შეცვლაზე და ცხადი გახდა, გოლს ვაკელები თუ გაიტანდნენ. ზესტაფონელთაგან კი ქვაჩახიას გარდა ვერცერთ ფეხბურთელს ვერ გამოვყოფთ...

ინომოვის საბოლოწუთო მომენტამდე ქებაძემაც დაადო ძელს ანაბეჭდი, გიორგი ონიანისა და სირბილაძის თავურებისას კი ისევ ქვაჩახია გაისარჯა კარგად. „ვიტ ჯორჯიასთან“ 0:4 წაგების შემდეგ მოქმედ ლიდერთან გასვლითი 0:0 თავისთავად პროგრესია, მაგრამ ვაი, რომ ფეროელთა ქომაგებს ასეთი თამაშით თვალს ვერ დაუხარბებ...

პრესკონფერენცია

კობა ყორღანაშვილი: „ლოკომოტივს“ მთელი 90 წუთი უპირატესობა ჰქონდა. შედეგი კარგია, მაგრამ თამაშით არ ვარ კმაყოფილი, „ვიტ ჯორჯიასთან“ წაგების შემდეგ კი გუნდის ფსიქოლოგიური ფონიც ვერ იყო კარგი. „ზესტაფონს“ რამდენიმე პოზიციაზე გაძლიერება სჭირდება.

გიორგი განუგრავა 17 წლის ბიჭია და ნუ დაგავიწყდებათ, რომ საყრდენი ნახევარმცველია, ამ საპასუხისმგებლო პოზიციაზე კი გამოცდილ და ასაკოვან ფეხბურთელებსაც უჭირთ თამაში. განუგრავას სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებებში სისტემატურად უწევს თამაში და თავადაც კი ითხოვა დასვენება, მაგრამ რამდენიმე ფეხბურთელი გვაკლდა და გიორგიც რომ არ გვყოლოდა...

ნოდარ აკობია: არ გაგვიმართლა. მომენტები გვქონდა, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ. ნუ იფიქრებთ, თითქოს „ზესტაფონის“ ბოლოდროინდელმა წაგებებმა ჩემ გუნდს ცუდი სამსახური გაუწია და მოშვებულები ვიყავით. კახელიშვილი პირველ ტაიმში ნორმალურად გამოიყურებოდა, მაგრამ მერე დაიღალა და ამიტომაც გამოვცვალე. საერთოდაც, გიორგი მალე იღლება და ეს მისი მინუსია.

ფოთი. 22 ოქტომბერი. 15 საათი. ფაზისი. 200 (ტევადობა 6 000)

კოლხეთი 4:0 სოხუმი

4:0 კრასოვსკი (36), 2:0, 3:0 ქუთათელაძე (50, 85), 4:0 მარგალიტაძე (61)

კოლხეთი: ბალიაშვილი, გ. კოლესნიკი, ჯ. შალაბერიძე, ფარულავა, დ. ნარსია, ქუტალია (ბ. რაზმაძე 61), ფარიგაზი (ცეცეშვილი 46), მარგალიტაძე, კრასოვსკი (წაბრია 66), ზ. ქუთათელაძე, ზ. ჯანბია
სათადარიგონი: მიქაია, სამსეიშვილი, ბ. სანაია, ჩიტრბავა
მწვრთნელი: სოსო ფილია

სოხუმი: ა. ლაბაძე, უგრეხელიძე, ნერეთელი, ფეანია, ჭყოიძე, ჩიმახიძე (შამუგია 78), ხაჩიძე, ლ. ჩხაიძე (ი. ქანტურია 46), ეგაძე, გაგუა, გაფელია (მამფორია 58)
სათადარიგონი: ქაშიბაძე, მიღლოდინი
მწვრთნელი: გიორგი ყორფოლიანი

გაფრთხილება: ჭყოიძე (19), რაზმაძე (83)

გაძევება: გაგუა (38)

მსაჯები: ბ. ბირსურაძე (თბილისი); კ. გაბრიაძე (ქუთაისი), ხ. ბაგნიძე (ტორი); ბ. კიკალეიშვილი (ქუთაისი)

ინსპექტორი: ს. ეფარაცხელია; **დირექტორი:** ე. თევზაძე

რა საჭიროა ვარჯიში?

კოლხეთმა ქუთე ორზე გაამრავლეს

გიორგი ჯანაშია *ფოთიდან*

„კოლხეთმა“ მოგების გემო გაიხსენა და წინა ტურში „ბათუმის“ წამქცევი „სოხუმი“ იოლად დაიბრიყვა.

დებიუტინავე თვალსაჩინო გახდა მასპინძელთა უპირატესობა, თუმც სტუმართა კარის გასაღების პოვნა მათ მხოლოდ 36-ე წუთზე მოახერხეს. გოლი ძალიან ლამაზი გამოდგა — ზვიად ქუთათელაძის დაგორებულ ბურთს საჯარიმოს წინა ხაზთან გიორგი კრასოვსკიმ შეუჩერებლივ ისე დააჭუხა, ახლო ცხრიანში ლურსმანივით ჩაჭედა — 1:0.

ორ წუთში სოხუმელები უფრო დიდ გასაჭირში აღმოჩნდნენ — მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის ვალერი გაგუა გააძევეს და სტუმრებმაც სწორედ აქ დაყარეს ფარ-ხმალი, ოღონდ, ეს ყველაფერი გატანილ გოლებში მხოლოდ შესვენების შემდეგ აისახა — 11 წუთში „კოლხეთმა“ სამი უპასუხო გოლით გაიხარა...

თბილისის „ამერთან“ საშინაო მატჩამდე ქუთათელაძეს „ფაზისზე“ ყველა თამაშში ჰქონდა გოლი გატანილი. ჰოდა, შაბათს „მცირე ამერული ჩავარდნაც“ გამოასწორა და ერთბაშად ორჯერ შეაგდო — ჯერ იყო და, კრასოვსკის თავური გაჭირვებით მოიგერია ავთანდილ ლაბაძემ, მაგრამ ზვიადმა დამატებაზე ყველას დაასწრო და გაიტანა კიდეც; აქედან ხუთ წუთში კი, „ქუთეთემ“ ათიოდ მეტრიდან ცაციანი ისეთი დაჰკრა, ლამის კარის ბადე გაარღვია — 3:0.

სტუმართა საცოდაობას წერტილი ედიშერ მარგალიტაძემ დაუსვა, როცა მცველებისა და მეკარის უყურადღებობა შეირგო და საკმაოდ მახვილი კუთხიდან მოახერხა გატანა...

მატჩის დასრულებამდე დარჩენილ დროში საგულისხმო და აღსანიშნავი აღარაფერი მომხდარა.

პრესკონფერენცია

გოჩა ყორყოლიანი: ჩემმა ფეხბურთელებმა ფეხბურთის შესაფერისი ვერაფერი გააკეთეს. რაზეა საუბარი, „კოლხეთმა“ დამსახურებულად იმარჯვა. „ბათუმთან“ თამაშის წინ არ გვივარჯიშია და ძაინც მოვიგეთ. ახლა კი ვემზადებოდით, მხოლოდ წინა დღეს ვერ ვივარჯიშეთ უამინდობის გამო, მაგრამ ძაინც არაფერი გამოვიდა. ეტყობა, ჩემ გუნდს ვარჯიში სულაც არ სჭირდება“.

სოსო ფილია: ზედიზედ ორი მარცხის შემდეგ წაგება უკვე არ შეიძლებოდა და ამ მატჩისთვის სერიოზულად მოვემზადეთ. წვიმების გამო დარბაზშიც კი მოგვიწია ვარჯიშმა. ბიჭებით კმაყოფილი ვარ და იმედი მაქვს, მომავალ ტურში თელავშიც იგივეს ვნახავ.

ასანიძემ კოლხეთი აიტაცა

ბეშიქ-ტაში ფოთელებისთვის?

„სოხუმთან“ მატჩს „კოლხეთი“ ახალი პრეზიდენტით დაუხვდა — ქალაქის მერმა ვანო საღინაძემ კლუბი ფოთის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავკაც მერაბ ასანიძეს ჩააბარა. ასანიძე კლუბში უცხო კაცი სულაც არაა — იგი აქამდეც მონაწილეობდა „კოლხეთის“ მართვაში.

ახალ პრეზიდენტთან საუბარში გაირკვა, რომ სულ მალე კლუბი სხვა იურიდიულ სუბიექტად ჩამოყალიბდება და საკმაოდ გავლენიან სპონსორსაც შეიძენს. როგორც შევიტყვეთ, ლაპარაკია ერთ-ერთ იურიდიულ ფირმაზე, რომელიც ფოთში ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის აშენებას აპირებს და „კოლხეთის“ შენახვაზეც არაა უარს. ეს ფირმა სტამბოლის „ბეშიქთაშის“ ერთ-ერთი მეწილე ყოფილა და, თუ რა სახით მივა ქართულ კლუბში, უკვე დაწყებული მოლაპარაკებები გაარკვევს.

გიორგი ჯანაშია *ფოთიდან*

გენერალური სპონსორი

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა — **პირველი წრე 10 ტური**

გორი. 22 ოქტომბერი. 15 საათი. თენგიზ ბურჯანაძე. 500 (ტევადობა 8 230)

დილა 3:0 თბილისი

1:0 2:0 შატაკიშვილი (6, 12), 3:0 წუწუნავა (38პ)

დილა: თ. ილურიძე, ლ. გოჩაშვილი, ხაჭაპურიძე, ქარქუზაშვილი, რევაზიშვილი, საყვარელიძე (მასურაშვილი 62), შატაკიშვილი (ტლაშაძე 77), მ. თაყაძე (მძინარიშვილი 79), კ. ხანიშვილი, წუწუნავა, სულთანიშვილი
სათადარიგონი: ნასყიდაშვილი; გ. ნადირაძე, ხკოფიანი, ალ. ლაბაძე
მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე

თბილისი: მ. ალავიძე, მამინოშვილი (მამნიაშვილი 52), ი. ვაშაკიძე, ლოლაძე (კვასხვაძე 49), ხოხონიშვილი, გ. იაშვილი, გ. ფოფხაძე, გოგოხია, თოფურია (კოსტავა 60), გ. კვარაცხელია, ლილუაშვილი
სათადარიგონი: თევდორაძე; ჩაგელიშვილი, გოდერძიშვილი, ბერიძე
მწვრთნელი: გიორგი დევდარიანი

გაფრთხილება: ლოლაძე (16), ფოფხაძე (38)

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი (თბილისი); ა. სამხარაძე (სოხუმი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ლ. სილაგავა (თბილისი)

ინსპექტორი: ა. დურსუნიში

შატაკურები
გორმა უქულო უქულოდ გაისტუმრა

ტარიელ შოთნიაშვილი გორიდან

„დილამ“ კვლავ მოიგო საკუთარ მინდორზე და კვლავ დიდი ანგარიშით, თუმც საამისოდ მეტოქეც ხელსაყრელი ჰყავდა — ძალიან სუსტია „თბილისი“, ყველა კომპონენტში დაიჩაგრა და პირველივე ტაიმში გადაეწურა შანსი.

უკვე მე-5 წუთზე საბა სულთანიშვილის გასროლილი „თბილისის“ მეკარე მიხეილ ალავიძემ ცხრიანიდან მოხსნა, მაგრამ ანგარიში მალევე გაიხსნა: ქრისტეფორე შატაკიშვილმა მოედნის ცენტრში მიღებული ბურთი ცოტა ხანს ატარა და დაახლოებით 30 მეტრიდან დააქუხა მაღალ კუთხეში — 1:0.

ასე დაიწყო „შატაკას“ ექვსწუთიანი ბენეფისი: მანვე მე-12 წუთზე საჯარიმო შეასრულა უნაკლოდ და თამაშიც, ალბათ, აქ მორჩა.

პირველი ტაიმის მიწურულს სულთანიშვილს კიდევ ერთი მომენტი გაუფუჭდა, 38-ე წუთზე კი კახა წუწუნავამ პენალტი მოინადირა და თავადვე დაარტყა — 3:0.

შესვენებამდე შატაკიშვილს ჰეთ თრიქის გაფორმება შეეძლო, მაგრამ გიორგი რევაზიშვილის ჩაწოდებულზე ერთი შეხებით ოდნავ ააცილა.

მეორე ტაიმში „დილამ“ ტემპს უკლო და „თბილისს“ შეეძლო გატანა, როცა მიხეილ თოფურია კარგად შეიჭრა საჯარიმოში, მაგრამ სიზუსტემ უმტყუნა.

პრესკონფერენცია

გიორგი დევდარიანი: გორში თამაში მაშინაც კი გვიჭირდა, როცა კარგი გუნდი გვყავდა. თითქოს სისწრაფე ჩვენი კოზირი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამ მხრივაც ვერ ვივარგეთ.

ვლადიმერ ხაჩიძე: თვის ბოლოს გვპირდებიან ხელფას-პრემიების გასტუმრებას, ამ უფულობაში კი კიდევ კარგად ვთამაშობთ. უბრალოდ, ჩვენ თავს არ ვაკადრებთ, რომ მატჩი გავაცდინოთ და ეროვნულ ჩემპიონატს ზიანი მივაყენოთ.

განსხვავებული მიზნები
სიონი და ცხინვალი სხვებს დაეტოლნენ

დავით თავართქილაძე ბოლნისიდან

ბოლნისი. 23 ოქტომბერი. 15 საათი. თამაზ სტეფანია. 500 (ტევადობა 3 500)

სიონი 6:1 ცხინვალი

1:0 დვალი (16), 2:0 დოლიძე (17), 3:0 ბოლქვაძე (42), 4:0 მიკუჩაძე (44), 4:1 დათვაძე (66), 5:1 დვალი (80), 6:1 ხმალაძე (90)

სიონი: ბობღიაშვილი, კობაური, დ. ხვანიძე, ჩიკვილაძე, ლ. მერებაშვილი, ხმალაძე, გ. დოლიძე, ბოლქვაძე (ბვალიანი 61), ქუცურუა (ჩაჩუა 58), დვალი, მიკუჩაძე (ქარდავა 65)
სათადარიგონი: გავაშელი; ბაჯელიძე, უგრეხელიძე, ტატიშვილი
მწვრთნელი: ხვიჩა ქასრაშვილი

ცხინვალი: გიზო შენგელია, ფერსაევი (ი. თაყაძე 46), ლომიძე, დ. მაისურაძე, ნ. ნოზაძე (გამცემლიძე 46), მოსიაშვილი, ეჯოშვილი, დ. ხანიშვილი, დათვაძე, ჩიტაია, ბაკარანძე (ჩილვინაძე 46)
სათადარიგონი: სოლოლაშვილი; გ. მაისურაძე, ახალკაცი
მწვრთნელი: ივანე თაყაძე

გაფრთხილება: თაყაძე (50)

მსაჯები: ლ. სილაგავა (თბილისი); გ. ცირდავა (გულრიფში), დ. ხარიტონაშვილი; ვ. ელისაბედაშვილი (ორივე თბილისი)

ინსპექტორი: რ. ჩილაჩავა

ნამატჩევს „ცხინვალის“ დამრიგებელმა ივანე თაყაძემ თქვა, მეტოქეს გამარჯვებას ვულოცავ, „სიონი“ და „ცხინვალი“ სხვადასხვა მიზნებისთვის იბრძვიანო.

ბოლნისელთა თავკაცმა ხვიჩა ქასრაშვილმა კი გვითხრა, შედეგით კმაყოფილი ვარ, მომავალ ტურში „ვიტ ჯორჯიას“ ვხვდებით და უკვე ამ მატჩისთვის მზადებას შევუდგებითო.

თაყაძემ „სხვადასხვა მიზნებში“ ვინძლო ისიც იგულისხმა, რომ გუშინ მის გუნდს ბოლნისიდან ქულის თუ ქულების წაღება-არწაღება დიდად არ ანაღვლებდა, რადგან მომდევნო ტურში უშუალო კონკურენტ ქუთაისის „ტორპედოს“ მასპინძლობს — „ცხინვალი“ არც ისე ბეჩავი გუნდია, ასეთი ანგარიშით რომ აგებდეს თამაშებს, მაგრამ გუშინ ასეთად წარმოგვიდგა.

...კოკა მიკუჩაძემ ახლოდან ვერ გაისწორა მიზანი, შემდეგ ჯაბა დვალმაც ახლოდან ვერ იყოჩაღა — სტუმართა მეკარე გიზო შენგელიამ იმარჯვა, მაგრამ მეორე ცდაზე დვალმა მაინც გაიტანა — ბურთი ბადეში არ გახვეულა, თუმც კარის ხაზი გადაკვეთა.

რამდენიმე წამში დვალი უკვე საგოლე პასით გამოირჩა და გრიგოლ დოლიძემ ქვემოქართლელები მეორედ დაამწუხრა.

ცოტაც და, ისევ დვალს უნდა შეეგდო, მაგრამ ორი მეტრიდან „ცხინვალის“ მეკარეს გაარტყა ბურთი.

ყველაფერი ცხადი გახდა — ბოლნისელთა გამარჯვება გარდაუვალი იყო. მიუხედავად ამისა, „ცხინვალმა“ მაინც გაიბრძოლა, გოლის გატანა პაატა ბაკარანძეს შეეძლო,



ჯაბა დვალი

მაგრამ ლევან მერებაშვილმა კარიდან გამოიტანა ბურთი.

გოლი მესამე: დავით ბოლქვაძემ თავისივე მონადირებულ ჯარიმიდან დაბალი ბურთი ზუსტად მოსხიპა.

გოლი მეოთხე: კოკა მიკუჩაძემ შენგელიას ჭვინტით გაუტანა.

შესვენების შემდეგ ივანე თაყაძემ სამი შეცვლა გააკეთა, მაგრამ ალბათ უფრო იმიტომ, რომ თამაშის საშუალება რაც შეიძლება მეტი ფეხბურთელისთვის მიეცა.

კურიოზული გამოდგა სტუმართა გოლი — დავით დათვაძემ შორიდან დაარტყა, ჰაერში აზიდული ბურთი ბოლნისელთა მეკარე მინდია ბობღიაშვილის ცხვირწინ დაეცა, მიმართულება შეიცვალა და მეკარემაც ვერაფერი გააწყო.

ამის შემდეგ კვლავ „სიონი“ ბატონობდა, კვლავ ქმნიდა საგოლე მომენტებს და ბოლო ათ წუთში კვლავ გამორჩა გოლებს — დვალმა დუბლი მიითვალა, ხოლო ლევან ხმალაძემ მატჩს წერტილი დაუსვა.

ამ გამარჯვებით „სიონმა“ ერთი საფეხურით აინაცვლა, თუმც რატომ დადის „სიონის“ საშინაო მატჩებზე წინა სეზონებთან შედარებით ნაკლები მაყურებელი, ცოტა არ იყოს, უცნაურია. ისე, მატჩს კლუბის უფროსობაც ვერ დაესწრო — ყველანი დედაქალაქში იყვნენ თბილისობაზე.

არაფრისგან სამი ქულა
გუშარაშვილმა ბალაძეს მოაგებინა

ბათუმი. 22 ოქტომბერი. 15 საათი. დინამო. 200 (ტევადობა 5 000)

ბათუმი 1:0 კახეთი

1:0 გუშარაშვილი (90)

ბათუმი: თოთლაძე, ბეგლარ თევდორაძე, სიდამონიძე, გუშარაშვილი, ექონია (ზირაქიშვილი 74), გ. ჯელაძე (ქაცარავა 80), ცანავა (გოგიშვილი 38), გ. მანჭავა, დარჩიძე, მიქაძე, კაკალაძე
სათადარიგონი: ბალაძე; ი. მახარაძე, გალოგრე, ბესიკ თევდორაძე
მწვრთნელი: ასლან ბალაძე

კახეთი: გიგა იაშვილი, ტურაშვილი, კვირკველია, გ. ნადირაშვილი, ბედოიძე, კობაიძე, კუბრაშვილი, კველიშვილი (იზორია 76), დ. ბურდული, სოსელია (ამირანიძე 85), არუდაშვილი
სათადარიგონი: ძამუნაშვილი; ბიძინაშვილი, სიხარულიძე, ტეტიაშვილი
მწვრთნელი: ჯემალ მახარაშვილი

გაფრთხილება: ბედოიძე (10)

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); მ. ურუშაძე, დ. კურტანიძე (ორივე თბილისი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

ინსპექტორი: ო. გუნთაძე

გიორგი მურვანიძე ბათუმიდან

მასპინძელთა მწვრთნელი ოთარ გაბელია ოჯახური პრობლემების გამო არ იმყოფებოდა ბათუმში და მის ნაცვლად გუნდი სათამაშოდ ასლან ბალაძემ გაიყვანა.

ძალიან მოსაწყენი და ულაზათო თამაში გამოვიდა. 90-ე წუთამდე გოლი რომ გასულიყო, პარადოქსიც კი იქნებოდა.

ბალაძემ აქცენტი ფლანგებიდან შეტევებზე გააკეთა, მაგრამ რა ხეირი — ზურაბ ექონია ტრავმის შემდეგ ოდენ პირველ თამაშს ატარებდა, გიზო ჯელაძე კი აშკარად ამოვარდნილი იყო „ანსამბლიდან“. მოკლედ, მთელი მატჩის განმავლობაში ერთი ისეთი მომენტიც არ შექმნილა, აღნიშვნად რომ ღირდეს.

„კახეთი“ კერკეტი კაკალი გამოდგა. თელაველები დაცვაშიც მწყობრად იდგნენ და მოედნის ცენტრშიც არაფერს უთმობდნენ მასპინძლებს. „ბათუმში“ მატჩის მიწურულს ზაზა ზირაქიშვილიც გამოჩნდა — ზღვისპირელებმა სამი ფორვარდით შეუტიეს, მაგრამ ქაოსურად.

0:0-ს თითქოს არაფერი ედგა წინ, თუმც ბოლო წუთზე ბათუმელებმა კუთხური გაითამაშეს, ჩაწოდებულზე კი ყველაზე მაღლა ნიკა გუშარაშვილი ახტა და თავურით მოაგებინა მასპინძლებს.

პრესკონფერენცია

ჯემალ მახარაშვილი: „ბათუმი“ უპირატესობას კი ფლობდა, მაგრამ ჩვენი მარცხი მაინც დასანანი იყო. მთლიანობაში დაძაბული მატჩი გამოდგა.

ასლან ბალაძე: ოთარ გაბელიას დედა ჰყავს შეუძლოდ და ზუგდიდში გაემგზავრა. როცა ჩამოვა, ბიჭებთან უფრო სერიოზული საუბარი გვექნება. ვეცდებით, ხარვეზები აღმოვფხვრათ.

ვიტ ჯორჯია	10	8	1	1	24:6	25
სიონი	10	8	1	1	21:8	25
ლოკომოტივი	10	7	3	0	15:2	24
ბორჯომი	10	7	0	3	18:9	21
დინამო	10	6	1	3	15:6	19
ამერი	10	6	1	3	9:7	19
ბათუმი	10	5	1	4	7:6	16
დილა	10	5	0	5	15:10	15
კოლხეთი	10	5	0	5	9:9	15
ზესტაფონი	10	4	2	4	6:9	14
კახეთი	10	4	0	6	9:14	12
ცხინვალი	10	3	0	7	7:18	9
ტორპედო	10	2	2	6	6:11	8
სოხუმი	10	2	1	7	9:24	7
სპარტაკი	10	1	1	8	2:14	4
თბილისი	10	0	0	10	2:20	0

გაქიგორე, რობერ...

ცხრილზე საუბარი საჭირო არ არის



ჯერმინ დეფო (მარცხნივ) რიო ფერდინანდს მაინც გაექცა

მოლი ის ამბავი წარმოიდგინოთ, რობერ პირესმა რომ პრემიერლიგაში აქამდე არნახული პენალტი შეასრულა.

არა, პენალტი ორი იყო.

„არსენალი" „სიტის" მასპინძლობდა და პირესმა პენალტით დაწინაურა თავისი გუნდი. მაგრამ მალე მსაჯმა მაიკ რილიმ კიდევ ერთი პენალტი დანიშნა. პატივცემული რობერი ბურთთან მივიდა, ფეხი ზემოდან დადგა და სულ ოდნავ შეანძრია იგი. ბურთისკენ ტიერი ანრი გამოქანდა, ანუ, პირესმა და ანრიმ პენალტი გაითამაშეს. ოლონდაც, რილიმ თვითონ მეთოფენი დაუკარიმა. არა იმიტომ, რომ მათ პენალტი გაითამაშეს, არამედ იმიტომ, რომ როცა მეტოქეს ბურთს უგორებ, მან ბრუნი უნდა გააკეთოს, პირესმა კი მხოლოდ ოდნავ შეარხია იგი. ჩვენს მეხსიერებაში ასეთი რამ ოცოდ წლის წინ გაუკეთებია ქუთაისის ტორპედოს და ასე 23 წლის წინ ამსტერდამის „აიაქსს". საქმეში მაშინ იესპერ ოლსენი და თუ არ შევცდებით ოიჰან კრუიფიც იყვნენ გარეულნი. ოლონდაც მაშინ ბურთმა ბრუნი გააკეთა.

თამაშის შემდეგ პირესი ყველას უბოდიშებლა და არსენ ვენგერმაც მიიღო ეს ბოდიშები.

„სიტის" ბოსმა სტიუარტ პირსმა კი მეთოფენი ამპარტავნობაში დაადანაშაულა: თუკი უნდოდათ, რომ ანრის საკლუბო რეკორდსმენობისთვის მისთვის გოლები ჩაეწერათ, პირდაპირ დაერტყმევინებინათო.

სხვაფრივ კი პრემიერლიგაში ყველა ჩვეულებრივად ცხოვრობს გარდა ერთისა. „ტოტენჰემმა" ჯერმინ ჯენასის ბრწყინვალე ჯარიმით ქუდლა წაჰგლიჯა „მანჩესტერს" და შაბათ საღამოსვე გავრცელდა ხმა, რომ სერ ალექს ფერგიუსონი ზაფხულში დატოვებს გუნდს და 19-წლიან მმართველობასაც დაასრულებს, რადგან წლევანდელ სეზონს მისთვის გულგატეხილობის მეტი არაფერი მოაქვს.

კვლავ მოიგო „უიგანმა". ამჯერად „ვილა პარკზე". ოლონდაც, ასეთი რამ გვინახავს: უფრო მნიშვნელოვანია, როგორი იქნება „უიგანი" გაისად, იმიტომ, რომ ასეთი ბინჩები პრემიერლიგაში სწორედ მეორე სეზონში ნადგურდებიან.

ამგვარ რამეს გადაურჩა თავის დროზე „ფულემი", რომელიც შაბათს წუთიერი დუმილით ეთხოვებოდა ავარიაში დაღუპულ თავის მოხუც ლეგენდას ჯონი ჰეინესს. გამოთხოვება ღირსეული გამოდგა: სეზონის საუკეთესო თამაშში ლონდონელებმა 2:0 მოუგეს „ლივერპულს". მენეჯერმა კრის კოულმენმა ასეც თქვა: „ეს ჯონისთან გამოთხოვება იყო. „ფულემმა" როგორც შეძლო ისე გამოეთხოვა თავის ისტორიაში საუკეთესო ფეხბურთელს".

„ჩარლტონმა" კი პორტსმუთიდან წამოიღო სამი ქულა და მეორე ადგილზე თამაშნაკლულად მომაგრდა. მას „ტოტენჰემი" და „უიგანი" მისდევენ, მერე ორი მანჩესტერელი, ხოლო წინ ვინც არის, ყველამ ვიცით.

ამიტომაც ბევრს ნულარ ვისაუბრეთ ერთი კი უნდა ითქვას, ლონდონელებმა სეზონში პირველი ქულები დაკარგეს, თანაც ერთიროენულ აუტსაიდერთან. თუმც ჯოზე მაურინიოს შეგრძდები განსაკურეთ ბოლო წუთებში სგრანნობ უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ გამარჯვება ვერ შეძლეს ამას ბევრი არაფერი შეუცვლია და თუ ცხრილს ჩახედავთ თავადაც დარწმუნდებით.

ინგლისი

პრემიერლიგა. X ტური

ბლეკბერნი 2:0 ბირმინგემი

1:0 დიკოვი (49ჯ), 2:0 ბელამი (81)

ბლეკბერნი: ფრიდელი, გრეი, ხიზანიშვილი, ნეილი, ნილსენი (ტოდი 46), ბენტლი (ემერტონი 75), პედერსენი, თუგაი, დიკოვი (ბელამი 62), კუკი

მწვრთნელი: მარკ ჰიუზი

ბირმინგემი: მ. ტეილორი, კლაპამი, კანინგემი, ტებილე (კილკენი 75), აპსონი, ბატი, ჯონსონი, ლაზარიდისი (იარმოშიკი 70), პენანტი, ფორსელი, ჰესკი

მწვრთნელი: სტივ ბრიუსი

გაფრთხილება: ჰესკი, კანინგემი, პენანტი

მსაჯი: ნაითი

18 341 მაყურებელი

მანჩესტერი 1:1 ტოტენჰემი

1:0 სილვესტრი (7), 1:1 ჯენასი (72)

მანჩესტერი: ვან დერ სარი, ბარდსლი (როსი 81), ფერდინანდი, ოში, სილვესტრი, ფლეტჩერი (რონალდო 75), სქოულზი, პარკი, რუნი, სმიტი, ვან ნისტელროი

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

ტოტენჰემი: რობინსონი, დოუსონი, კინგი, ლი, სტალტერი, კარიკი, დავიდსი, ჯენასი, ლენონი (რობი კინი 65), დეფო (მენდესი 84), მიდო

მწვრთნელი: მარტინ იოლი

გაფრთხილება: რუნი, ბარდსლი, დავიდსი, ჯენასი, სტალტერი

მსაჯი: რენი

67 856 მაყურებელი

ფულემი 2:0 ლივერპული

1:0 ჯონი (30), 2:0 ბოა მორტე (90)

ფულემი: კროსლი (უორნერი 63), ბოკანეგრა, გომა, ნ. იენსენი (როსენიორი 69), ფოლკი, დიოპი, ერლიხი (ბაკრაიდი 76), კ. იენსენი, მალბრანკი, ბოა მორტე, ჯონი

მწვრთნელი: კრის კოულმენი

ლივერპული: რეინა, კარაგერი, ჰიიპია, ხოსემი, ტრაორე (ლუის გარსია 59), ხავი ალონსო, კიუელი (კრუჩი 75), რიისე, სისოკო, სისე, მორიენტესი

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

გაფრთხილება: ხოსემი, სისოკო

მსაჯი: ატკინსონი

22 480 ყურებელი

ასტონ ვილა 0:2 უიგანი

0:1 ჰიუზი (32ს.კ), 0:2 მაჰონი (82)

ასტონ ვილა: სორენსენი, ბერი, ჰიუზი, მელბერგი, რიჯველი, სამუელი, ბაკე (ბერგერი 70), დევისი, მილნერი, მური (ანხელი 54), ფილიპსი

მწვრთნელი: დევიდ ოლირი

უიგანი: ფილანი, ბინსი, ჩიმბონდა, დე ზეუჯი, ანშო, ბულარდი, ფრენსისი, კავანაგი, მაჰონი, კამარა, რობერტსი (ტილი 68)

მწვრთნელი: პოლ ჯიუელი

მსაჯი: ბიბი

32 294 მაყურებელი

არსენალი 1:0 მანჩესტერ სიტი

1:0 პირესი (61ჯ)

არსენალი: ლემანი, კლიში, სიგანი, ლორენი, ტურე, ფაბრეგასი, ფლამინი, პირესი, ჟილბერტო, ბერხკამპი, ანრი

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

მანჩესტერ სიტი: ჯეიმსი, დისტინი, მილსი (რიჩარდსი 85), სომილი, ბარტონი, ირლანდი, ჯორდანი, მუსამპა (ჯიჰაი 85), რეინა (კროფტი 73), სიბიერსკი, ვასელი

მწვრთნელი: სტიუარტ პირსი

გაფრთხილება: პირესი, კლიში, ბერხკამპი, ბარტონი, ვასელი, მილზი, მუსამპა, სომილი

მსაჯი: რილი

38 189 მაყურებელი

პორტსმუთი 1:2 ჩარლტონი

1:0 სილვა (14), 1:1 ამბროზუზი (61), 1:2 რომედალი (77)

პორტსმუთი: ეშდაუნი, ობრაიენი, პრისკე, სტეფანოვიჩი, ტეილორი (ჰიუზი 87), ვინიალი, ვიაფარა, რობერი (ტოდოროვი 87), ვუკიჩი (მბესუმა 88), სილვა

მწვრთნელი: ალან კერინი

ჩარლტონი: ანდერსენი, ჰრეიდარსონი, პერი, სპეკტორი, იანგი, ამბროზუზი, კიშიშევი, მერფი (ელ კარკური 90), რომედალი (იოჰანსონი 83), სმერტინი, ბენტი

მწვრთნელი: ალან კერბიშლი

გაფრთხილება: რობერი, ვინიალი, კიშიშევი, ჰრეიდარსონი, ამბროზინი

მსაჯი: ვები

19 030 მაყურებელი

ევერტონი 1:1 ჩელსი

1:0 ბიტი (37ჯ), 1:1 ლამპარდი (50)

ევერტონი: მარტინი, იობო, ვეირი, ჰიბერტი, ნუნო ვალენტე (ფერარი 45), არტეტა, ფ. ნევილი, ჩეხილი (დევისი 70), კილბეინი, ბიტი, ფერგიუსონი (ბენტი 78)

მწვრთნელი: დევიდ მოიესი

ჩელსი: ჩეხი, ჰუტი, გალასი, ტერი, დელ ორნო, მაკელელე, ესიენი, ლამპარდი, შ. რაიტ-ფილიპსი (გუდიონსენი 58), ჯო კოული (რობენი 67), დროგბა (კრესპო 71)

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

გაფრთხილება: არტეტა, ფერარი, დროგბა, ჰუტი

მსაჯი: კლატენბურგი

36 042 მაყურებელი

ბოლტონი 2:0 ვესტ ბრომვიჩი

1:0 ნაკატა (81), 2:0 ნოლანი (90)

ბოლტონი: იასკაილენი, ბენ ჰაიმი, ნგოტი, იანაკოპულოსი, ფაიე, ნაკატა, ნოლანი, ობრაიენი, კ. დევისი, დიუფი (ფადიგა 84), პედერსენი

მწვრთნელი: სემ ალარდაისი

ვესტ ბრომვიჩი: კირკლანდი, ალბრეხსტენი, კ. დევისი, კლემენტი (ერნშოუ 44), მური, რობინსონი, უოტსონი, კარტერი, გრინინგი, კამარა, ჰორსფილდი (კანუ 64)

მწვრთნელი: ბრაიან რობსონი

გაფრთხილება: ნოლანი, დიუფი, კარტერი, ალბრეხსტენი

მსაჯი: დინი

24 151 მაყურებელი

ნიუკასლი 3:2 სანდერლენდი

1:0 ამეობი (34), 1:1 ლოურენსი (35), 2:1 კოლდველი (37ს.კ.), 2:2 ელიოტი (41), 3:2 ემრე (63)

ნიუკასლი: გივენი, ტეილორი, ბუმსონგა, კარი, რემიჯი, სოლანო (კლარკი 80), პარკერი, ემრე (ფეიე 81), ნზოგბია, შირერი, ამეობი (ჩოპრა 79)

მწვრთნელი: გრემ სუნესი

სანდერლენდი: დევისი, ნოსვორთი, ბრინი (სტაბსი 42), კოლდველი, ჰოიტი, ლოურენსი, მილერი, ვაითჰედი, ველში (არკა 42), ელიოტი, გრეი (ლე ტალეკი 79)

მწვრთნელი: მიკ მაკართი

გაფრთხილება: პარკერი, კარი, ვაითჰედი, მილერი

მსაჯი: სტაილზი

52 302 მაყურებელი

ვესტ ჰემი 2:1 მიდლსბრო

1:0 შერინგემი (66), 2:0 რიგოტი (74ს.კ.), 2:1 კედრუ (87)

ვესტ ჰემი: ჰისლოპი, გაბიდონი, რეპკა, ფერდინანდი, კონჩესკი, ბენაიუნი (დეილი 90), მულინსი, რეო-კოკერი, ეტერინგტონი (ნიუტონი 76), ზამორა (შერინგემი 65), ბარვუდი

მწვრთნელი: ალან პერდიუ

მიდლსბრო: შვარცერი, რიგოტი, ბეიტსი, საუგეიტი (კედრუ 25), პოგატეცი, მენდიეტა, დორივა (ვიდუკა 78), ბოატენგი, როჩემბაკი, იაკუბუ, მაკარონე (ჰასელბაინკი 60)

მწვრთნელი: სტივ მაკლარენი

გაფრთხილება: ფერდინანდი, ბოატენგი, დორივა

მსაჯი: ბენეტი

34 612 მაყურებელი

№	სულ							შინ							სტუმრად						
	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1 ჩელსი	10	9	1	0	24:4	20	28	5	5	0	0	14:2	12	15	5	4	1	0	10:2	8	13
2 ჩარლტონი	9	6	1	2	15:9	6	19	4	1	1	2	4:6	-2	4	5	5	0	0	11:3	8	15
3 ტოტენჰემი	10	5	4	1	12:6	6	19	5	3	1	1	5:2	3	10	5	2	3	0	7:4	3	9
4 უიგანი	9	6	1	2	10:5	5	19	5	3	1	1	5:3	2	10	4	3	0	1	5:2	3	9
5 მანჩესტერი	9	5	3	1	14:7	7	18	4	1	2	1	4:4	0	5	5	4	1	0	10:3	7	13
6 სიტი	10	5	2	3	10:7	3	17	5	3	1	1	5:2	3	10	5	2	1	2	5:5	0	7
7 ბოლტონი	10	5	2	3	12:11	1	17	5	3	1	1	5:1	4	10	5	2	1	2	7:10	-3	7
8 არსენალი	9	5	1	3	12:6	6	16	5	5	0	0	10:1	9	15	4	0	1	3	2:5	-3	1
9 ვესტ ჰემი	9	4	3	2	13:7	6	15	5	3	1	1	10:4	6	10	4	1	2	1	3:3	0	5
10 ბლეკბერნი	10	4	2	4	9:10	-1	14	5	3	1	1	6:4	2	10	5	1	1	3	3:6	-3	4
11 ნიუკასლი	10	3	3	4	8:10	-2	12	5	2	2	1	5:5	0	8	5	1	1	3	3:5	-2	4
12 მიდლსბრო	10	3	3	4	11:14	-3	12	5	1	2	2	3:7	-4	5	5	2	1	2	8:7	1	7
13 ლივერპული	8	2	4	2	5:8	-3	10	4	2	1	1	3:4	-1	7	4	0	3	1	2:4	-2	3
14 ფულემი	10	2	3	5	10:14	-4	9	5	2	1	2	6:5	1	7	5	0	2	3	4:9	-5	2
15 ასტონ ვილა	10	2	3	5	9:16	-7	9	5	1	2	2	6:8	-2	5	5	1	1	3	3:8	-5	4
16 ვესტ ბრომვიჩი	10	2	2	6	9:18	-9	8	5	2	0	3	8:9	-1	6	5	0	2	3	1:9	-8	2
17 პორტსმუთი	10	1	4	5	7:12	-5	7	5	0	3	2	3:6	-3	3	5	1	1	3	4:6	-2	4
18 ბირმინგემი	10	1	3	6	7:15	-8	6	5	0	1	4	3:9	-6	1	5	1	2	2	4:6	-2	5
19 სანდერლენდი	10	1	2	7	9:17	-8	5	5	0	2	3	5:10	-5	2	5	1	0	4	4:7	-3	3
20 ევერტონი	9	1	1	7	2:12	-10	4	4	0	1	3	1:5	-4	1	5	1	0	4	1:7	-6	3

ბომბარდირები

ვან ნისტელროი (მანჩესტერი)	8
ლამპარდი (ჩელსი)	8
დარენ ბენტი (ჩარლტონი)	7
დროგბა (ჩელსი)	5
იაკუბუ (მიდლსბრო)	5

XI ტური

29-30 ოქტომბერი

ბირმინგემი	:	ევერტონი
ჩარლტონი	:	ბოლტონი
ჩელსი	:	ბლეკბერნი
ლივერპული	:	ვესტ ჰემი
სიტი	:	ასტონ ვილა
მიდლსბრო	:	მანჩესტერი
სანდერლენდი	:	პორტსმუთი
ტოტენჰემი	:	არსენალი
ვესტ ბრომვიჩი	:	ნიუკასლი
უიგანი	:	ფულემი

ჩემპიონატი

XV ტური

კარდიფი 6:1 ძრიუ

1:0 რიკეტსი (17), 1:1 ფოსტერი (30), 2:1 ლედლი (47), 3:1 კუპერი (59), 4:1 პერსი (66ჯ), 5:1 ჯერომი (67), 6:1 კუმასი (73)

კრ. პალასი 2:0 ბარნლი

1:0 მორისონი (37), 2:0 ფრიდმანი (77)

ჰალი 2:1 დერბი

1:0 ელიოტი (10), 1:1 იდეაკესი (55ჯ), 2:1 გრინი (83ჯ)

იფსვიჩი 0:1 უოტფორდი

0:1 იანგი (54)

ლუტონი 1:1 პლიმუთი

1:0 ფინი (63), 1:1 ჯორჯიჩი (90)

მილუოლი 0:2 საუთჰემპტონი

